მე მომეცა ხუთი რამ, რაც არავის არ მიეცა ჩემამდე

გადმოცემულია ჯააბირ იბნ აბდულლაჰისგან (ალლაჰი იყოს კმაყოფილი მათით), რომ ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «მე მომეცა ხუთი რამ, რაც არავის არ მიეცა ჩემამდე: მომეცა გამარჯვება მტრების გულებში შიშის დანერგით ერთი თვის სავალ მანძილზე, ჩემთვის დედამიწა იქცა მეჩეთად და განწმენდის საშუალებად, ჩემი თემის რომელიმე კაციც მიუსწრებს ლოცვას დაე ილოცოს, ჩემთვის ნებადართული გახდა ნადავლის აღება, რაც არავისთვის ყოფილა ნებადართული ჩემს წინ, მომეცა შუამდგომლობა, შუამავლები იგზავნებოდნენ კონკრეტულად თავიანთი ხალხისთვის, მე კი წარმოვიგზავნე მთლიანი კაცობრიობისთვის».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვაუწყა, რომ ალლაჰმა მას მიანიჭა ხუთი თვისება, რომლებიც არც ერთ მოციქულს არ ჰქონია მის წინ: პირველი: მე გავიმარჯვე შიშით, რომელიც ალლაჰმა ჩანერგა ჩემი მტრების გულებში, თუნდაც მათ და ჩემს შორის ერთი თვის სავალი მანძილი ყოფილიყო. მეორეც: დედამიწა ჩვენთვის მეჩეთად იქნა შექმნილი, სადაც არ უნდა ვიყოთ, შეგვიძლია ლოცვა და გასუფთავება მიწით, როცა წყალი მიუწვდომელია. მესამეც: ჩვენთვის ნებადართული გახდა საომარი ნადავლი, რაც გულისხმობს იმ ქონებას, რომელსაც მუსლიმები იღებენ ურწმუნოებთან ომში. მეოთხე: მე მომენიჭა უზენაესის შუამდგომლობა, რათა გავათავისუფლო ადამიანები განკითხვის დღის შემზარავი მდგომარეობისგან. მეხუთე: მე გამოგზავნილი ვარ ყველა ქმნილებისკენ, როგორც ადამიანების, ასევე ჯინების მიმართ, განსხვავებით ჩემამდე გამოგზავნილი მოციქულებისგან, რომლებიც მხოლოდ თავიანთ ხალხთან იგზავნებოდნენ.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/3503